ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 410

20 დეკემბერი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 3 დეკემბრის №19.1261.1597 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7800 (შვიდი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე